









მიღების ოპერაცია

ორის ბუღალტერიაში მიღების ოპერაციაში შესაძლებელია იმპორტირებული საქონლის მიღება, ინვოისის ხარჯის დადება და შემოსავლების სამსახურის ვებგვერდიდან სასაქონლო ბედნადების, ანგარიშ/ფაქტურის და საგადახლო დოკუმენტის ჩამოტვირთვა განვიხილოთ თითოეული მათგანი. მიღების ოპერაციით შეგვიძლია მიიღოთ: საქონელი, მომსახურება და ძირითადი საშუალება.

მენეჯერული აღრიცხვა/მიღების ოპერაციები . მიღების ოპერაციის დასამატებლად გამოიყენეთ ღილაკების სისტემიდან ღილაკი  ან კლავიატურაზე Insert ან მონაცემთა არეში დააწკაპეთ მაუსის მარჯვენა ღილაკს და კონტექსტური მენიუდან აირჩიეთ ჩანაწერის დამატება


	ჩანაწერის დამატება	Ins
	ჩანაწერის დუბლირება	Ctrl+F2
	კორექტირება	F2
	ჩანაწერის წაშლა	Del
	კოპირება (Ctrl+Shift+C)	Ctrl+C
	ჩასმა	Ctrl+V


იხილავთ ეკრანს:





გამოსულ ეკრანზე, ველში „ოპერაციის თარიღი“ ჩაწერეთ სასურველი თარიღი. ველს „დოკუმენტის ნომერი“ ავტომატურად ავსებს სისტემა, შეგიძლიათ მიუთითოთ თქვენთვის სასურველი ნომერი.

ველში „გამყიდველი“ მიუთითეთ ორგანიზაცია ვისგანაც ყიდულობთ საქონელს.


დადებით აღნიშნულ ველზე  ღილაკზე დაჭერით (ან კლავიატურაზე Alt+B), გადით „დებიტორ/კრედიტორების“ სიაზე.



გამოსულ ეკრანში მოძებნეთ და აირჩიეთ მომწოდებელი ორგანიზაცია ან თუ არ არის ასეთი დაამატეთ. ამ შემთხვევაში სია ცარიელია დააჭირეთ ღილაკზე  .იხ.ეკრანს.



მონიშნული დატოვეთ „ორგანიზაცია“ და დააჭირეთ ღილაკს „ავირჩიოთ“. შეავსეთ გამოსული ეკრანი შესაბამისი ინფორმაციით.




დააჭირეთ ღილაკს „შევიწახოთ“.

ველი „მომწოდებელი“ ავტომატურად შეივსება. გამყიდველი და მომწოდებელი შესაძლოა სხვადასხვა ორგანიზაციაც იყოს.


გადახდის ვადის მისათითებლად მონიშნეთ ველში „გადახდის ვადა“, ვეში „დღეები“ მიუთითეთ დღეების რაოდენობა ან შეგიძლიათ თარიღის ველში მიუთითოთ გადახდის თარიღი.

ველში „ღირებულების ცენტრი“ მიუთითეთ სასურველი ღირებულების ცენტრი(საწყობი) , სადაც უნდა მიიღოთ საქონელი. დადექით ალნიშნულ ველზე ღილაკზე დაჭერით (ან კლავიატურაზე Alt+B), იხ.ეკრანს.



სისტემას ავტომატურად მოყვება ერთი ღირებულების ცენტრი დასახელებით „საერთო ღირებულების ცენტრი“ შეგიძლიათ ღირებულების ცენტრს შეუცვალოთ დასახელება ან დაამატოთ ახალი სასურველი დასახელებით. ამ შემთხვევაში შეუცვალეთ დასახელება.დადექით ღირებულების ცენტრის ჩანაწერზე და დააჭირეთ ღილაკს

მიუთითეთ სასურველი დასახელება (ამ შემთხვევაში „საწყობი“). თუ გსურთ შეგიძლიათ შეავსოთ დანარჩენი ველები და დააჭირეთ ღილაკს „შევიწახოთ“.




დააჭირეთ ღილაკს „ავირჩიოთ“.

ველში „ვალუტა“ მიუთითეთ სასურველი ვალუტა დადექით ალნიშნულ ველზე ღილაკზე დაჭერით(ან კლავიატურაზე Alt+B),გადით ვალუტების სიაზე ,მოძებნეთ ვალუტა და დააჭირეთ ღილაკზე „ავირჩიოთ“.

ველში „კომენტარი“ მიუთითეთ ოპერაციის კომენტარი ან აირჩიეთ სასურველი კომენტარი სიიდან.

დადექით ბარათზე „მიმღები“.



ბარათში „მიმღები“ არის სისტემის მფლობელი ორგანიზაციის დასახელება, მისამართი და დღგ-ს ტიპი.



ბარათში „სხვადასხვა“ ნახავთ სასაქონლო გედნადების, ანგარიშ-ფაქტურის ან საგადახდო დოკუმენტის ნომერს და აიღის, იმ შემთხვევაში თუ ოპერაცია ჩამოტვირთული გაქვთ შემოსავლების სამსახურის ვებ გვერდიდან ან ხელით გაქვთ შევსებული აღნიშნული ველები.


დადექით ბარათზე „გატარებები“.


შექმნა		კორექტირება	წაშლა	გატარებები
			გაბყიდველის შპოშელი ანგარიში	3110 ... მოწოდებიდან და მომსახურებიდან
			გადახდილი დღგ-ს ანგარიში	3340 ... გადახდილი დღგ
			შემოსავლების ანგარიში უსასყიდლოდ მიღებისას	8190 ... სხვა არასაოპერაციო შემოსავალი
			გადახდილი აქციზის ანგარიში	3360 ... გადახდილი აქციზი


ბარათში „გატარებები“ არის მოცემული ანგარიშები ,რომელიც მოყვება სისტემას მიღების ოპერაციის შესაბამისი გატარებების შესასრულებლად. შეგიძლიათ შეცვალოთ ანგარიშები სურვილისამებრ.

დაბრუნდით ბარათზე „გაბყიდველი/მომწოდებელი“.

ბარათში „საგნები“ დაამატეთ ჩანაწერი ,ჩანაწერის დასამატებლად გამოიყენეთ ღილაკი  (ან კლავიატურაზე Insert).დადექით ველზე „კოდი“ ან „საგანი“  ღილაკზე დაჭერით (ან კლავიატურაზე Alt+B) .იხ.საგნების სიის ეკრანს.



თუ შესაძენი საგანი უკვე გაქვთ სისტემაში მოძებნეთ და დააჭირეთ ღილაკზე „ავირჩიოთ“.ამ შემთხვევაში საგნების სია ცარიელია. საგნის ჩანაწერის დასამატებლად გამოიყენეთ ღილაკი  (ან კლავიატურაზე Insert)



გამოსულ ეკრანზე მონიშნეთ შესაბამისი მოსანიშნი. ჯერ განვიხილოთ პირველი შემთხვევა მონიშნეთ საგნის ტიპი „საქონელი“.

შეავსეთ გამოსული ეკრანი შესაბამისი ინფორმაციით. ველში „შტრის კოდი“ მიუთითეთ საგნის კოდი , (მაგ: 001) .

ველში „დასახელება“, საგნის დასახელება (მაგ საქონელი 1).

ველში „სააღრიცხვო მინიმალური ერთეული“ ,საგნის ერთეული(მაგ: ცალი) .

ველში „სააღრიცხვო მშობელი ანგარიში“ ,საგნის საბუღალტრო მშობელი ანგარიში (მაგ 1610)

ველში „გაყიდვის ფასი“ შეგიძლიათ მიუთითოთ საგნის გაყიდვის ფასი და გაყიდვის ვალუტა.

ველში „გაყიდვის ერთეული“ მიუთითეთ ერთეული თუ საგანს მინიმალური სააღრიცხვო ერთეულისაგან განსხვავებულ ერთეულში ყიდით.(ამისათვის საჭიროა შექმნათ კავშირი, მინიმალურ ერთეულსა და გაყიდვის ერთეულს შორის)

ველში „ჯგუფი“ მიუთითეთ ჯგუფი .საგნები შეგიძლიათ დააჯგუფოთ სხვადასხვა პარამეტრებით.შექმნათ თქვენთვის სასურველი ჯგუფები.ველში „მწარმოებელი“ შეგიძლიათ მიუთითოთ მწარმოებელი კომპანია.

ველში „მწარმოებლის ნომერი “ ზოგიერთ პროდუქტს აქვს წარმოების ნომერი მაგ: მედიკამენტებს.

ველში „ვარგისიანობის თარიღი“ შეგიძლიათ მიუთითოთ პროდუქტის ვადა .

ველი „დახურვის თარიღი“ შეგიძლიათ შეავსოთ მაშინ ,როდესაც გადაწყვეტთ რომ ამ საგანზე ოპერაციები აღარ უნდა შეასრულოთ.

ველში „დღგ-ს ტიპი“ მიუთითეთ დღგ-ს ტიპი ,თუ საგანი იბეგრება 18% აირჩიეთ „ჩვეულებრივი“ ,თუ განთავისუფლებულია „დაუბეგრავი“,თუ 0% იბეგრება „ნულოვანი“. თუ საგანი არის ინვენტარი ველში „საინვენტარიზაციო ნომერი “ შეგიძლიათ მიუთითოთ საინვენტარიზაციო ნომერი.დააჭირეთ ღილაკს „შევიწახოთ“

ველში „რაოდენობა“ მიუთითეთ რაოდენობა ამ შემთხვევაში 100

ველში „ფასი“ მიუთითეთ ერთეულის ფასი (ამ შემთხვევაში 15),სისტემა ველს „თანხა“ ავტომატურად შეავსებს.შეგიძლიათ შეავსოთ ველი „თანხა “ თუ მთლიანი ღირებულება იცით საქონლის და სისტემა ველს „ფასი “ ავტომატურად შეავსებს.

ველი „უსასყიდლოდ მიღება “ მონიშნეთ იმ შემთხვევაში თუ საგანს იძენთ უსასყიდლოდ.ამ შემთხვევაში არ მონიშნოთ.

ანალი მიღების ოპერაცია

ოპერაციის თარიღი: 01.10.2021 00:00:00 | დოკუმენტის ნომერი: 1

გამყიდველი/მომწოდებელი: მიმღები | სხვადასხვა | გატარებები

გამყიდველი: 12345678910 | შპს "მომწოდებელი" | ჩვეულებრივი

მომწოდებელი: 12345678910 | შპს "მომწოდებელი"

მომწოდებლის მისამართი: [...]

გადახდის ვადა:

ღირებულების ცენტრი: საწყობი

ვალუტა: GEL | კურსი ფიქსირებულია | კურსი: 1

კომენტარი: [...]

საგნები: ხარჯის გადასანაწილებელი ინვოისების საგნები | თანხა: 1500.00

კოდი	საგანი	რაოდენობა	ერთეული	ფასი	თანხა	დღგ განაკვეთი	დღგ	უსასყიდლოდ მიღება	საგნის ტიპი	არ ინახება
▶ 1	001 საქონელი 1	100.0000	ცალი	15.00	1500.00	18.00	228.81	<input type="checkbox"/>	საქონელი	
					1500.00		228.81			

შევიწახოთ | უარი

დააჭირეთ ღილაკზე „შევიწახოთ“ . იხილავთ ეკრანს:

მენეჯერული გატარების შეკითხვა

იმისათვის რომ მენეჯერული ოპერაცია აისახოს ნაშთებზე საჭიროა დაფორმირდეს საბუღალტრო გატარებები (მენეჯერული ოპერაციის ფორმაზე - ბარათი [გატარებები]-[შექმნა]).

ვრცლად >>>

შექმნათ ამ ოპერაციის საბუღალტრო გატარებები?



ალარ მაჩვენო ეს შეტყობინება.

მენეჯერული ოპერაციის დამატებისას

ყოველთვის შეიქმნას საბუღალტრო გატარებები.

თქვენ თვითონ შექმნით გატარებებს როცა საჭიროდ მიიჩნევთ.

თუ გსურთ რომ თქვენს მიერ დამატებული მიღების ოპერაციის შესრულებით შესრულდეს შესაბამისი საბუღალტრო გატარებები,დააჭირეთ ღილაკს „კი“,თუ არ გსურთ დაანკაპეთ ღილაკს „არა“ თუ ისევ მიღების ოპერაციის ეკრანზე გსურთ დაბრუნება დააჭირეთ ღილაკს „უარი“. ამ კონკრეტულ შემთხვევაში დაანკაპეთ ღილაკს „კი“ ,მიღების ოპერაციების სიაში დაემატება თქვენს მიერ შესრულებული მიღების ოპერაცია ,რომელსაც მოყვება შესაბამისი საბუღალტრო გატარებები.

საბუღალტრო გატარებები , რომელიც მიღების ოპერაციების შესრულებას მოყვება შეგიძლიათ ნახოთ , ბუღალტერია/გატარებები ან შეგიძლიათ დადგეთ თქვენს მიერ შესრულებულ მიღების ოპერაციაზე, მიღების ოპერაციების ეკრანში და დააჭიროთ ღილაკს  შემდეგ .დააჭიროთ ღილაკს  გატარებები . იხ.ეკრანს.

ოპერაციის კორექტირება

ოპერაციის თარიღი 01.10.2021 00:00:00

დოკუმენტის ნომერი 1

ოპერაციის ტიპი მიღების ოპერაცია

კომენტარი

ანგარიში	ანგარიშის დასახელება	დებეტი თანხა	კრედიტი თანხა	ვალუტა	ღირებულების ცენტრი	დებეტი რაოდენობა	კრედიტი რაოდენობა	ერთეულები
1	3110 1	12345678910 შპს "მომ...	1,500.00	GEL	საწყობი			
2	1610 1	001 საქონელი 1	1,271.19	GEL	საწყობი	100.0000		ცალი
3	3340	გადახდილი დღგ	228.81	GEL	საწყობი			
			1,500.00	1,500.00				

შევიწახოთ უარი

შეგიძლიათ ნახოთ გატარებები და დახუროთ ეკრანი.